საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„მოხეური“

„მოხეური“, მთიულურ ცეკვათა ჯგუფის ერთ-ერთი სახეობა. შინაარსში იგულისხმება დაძმობილება, ქალ-ვაჟის ტრფიალი, ნადირობა. ძირითადად სრულდება მთიულურისათვის დამახასიათებელი მოძრაობებით, თუმცა „**მ.**“ მთიულურთან შედარებით, უფრო ნელა, საშუალო ტემპით სრულდება და ნაკლებად ახასიათებს ცერ- და მუხლილეთები. ქალ-ვაჟთა ცეკვაში წარმმართველი არის ვაჟი, რ-იც ქალთან დამოკიდებულებაში თავაზიანი და მოკრძალებულია. ცეკვაში შეიძლება მონაწილეობდეს ერთი ან რამდენიმე წყვილი (ქალ-ვაჟი) ან მთელი ჯგუფი. ვაჟების მიერ შესრულებულ „**მ**-ს“ შეჯიბრების სახე აქვს. მისი მუს. ზომაა 5/8. გამოყენებულია დ. თორაძის ბალეტ „გორდაში“.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010; ფ ხ ა კ ა ძ ე თ., სართულიანი ფერხულები საქართველოში, „ხანძთა“ 2006, №4; ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი დ., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2018.